სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

09 დეკემბერი, 2024 წ.

ბრძანება N01-02/206

,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 28 ნოემბრის N01-02/201 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ERASMUS+" გაცვლითი პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 28 ნოემბრის №1533813 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 28 ნოემბრის N01-02/201 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში <u>მუნტერის და ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტებში</u> საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ''

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში **მუნტერის** (გერმანია) და **ვიტაუტას მაგნუსის** (კაუნასი, ლიეტუვა) **უნივერსიტეტებში,** საერთაშორისო მობილობაში მონაწილე **ბსუ-ს საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამების (გერმანული ფილოლოგიის, ასევე განათლების მიმართულებით (შერეული ინტენსიური პროგრამა (BIP): "ინოვაციები დაწყებით განათლებაში" (Blended Intensive Programme (BIP):" Innovations in Primary Education") 2-2 სტუდენტის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

1.1. **კონკურსში მონაწილეობის მსურველი ბსუ-ს სტუდენტების მიერ** - <u>ელექტრონულად, ბმულზე -</u> <u>https://registration.bsu.ge/Registration-2.php</u> და <u>ბსუ-ს</u>

<u>სტუდენტური პორტალის მეშვეობით</u> წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება - 2024 წლის 28 ნოემბრიდან 09 დეკემბრის ჩათვლით (12:00 საათამდე);**

1.2. საბუთების შემოწმება და შეფასება - **2024 წლის 09 დეკემბერი, 14:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ და გერმანულ ენებში (ინგლისური ენა - B2 დონე; გერმანული ენა - B1 დონე), - **2024 წლის 09 დეკემბერი, 16:00 საათი,** ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 და ენების ცენტრი (შენიშვნა: უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება კომისიასთან - **2024 წლის 10 დეკემბერი (10:00 საათიდან);**

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისთვის - **არაუგვიანეს 2024 წლის 11 დეკემბრისა.**".

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**